სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	ქუთაისის „აია“ - თბ „ხვამლი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	17/11/2023	მატჩის ადგილი	ქუთაისი, აია არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	24/01/1995
სახელი, გვარი	ლისალა ნასენგე		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	გიგა მშვენიერაძე	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	9.18 მოთამაშემ არ უნდა აწიოს მიწიდან მოწინააღდეგე და დააგდოს ან დაყვეს მას ისე, რომ მისი თავი ან სხეულის ზედა ნაწილი(მხარი, კისერი) პირველი შეეხოს მიწას.	☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	22/11/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი; ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, გიგა მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმი;
2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა;
3. ქუთაისის „აია“-ს ექიმის, გიორგი აბესაძის ელ.ფოსტა 21/11/2023

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

ქუთაისის „აია“-ს ექიმის, გიორგი აბესაძის ელ.ფოსტა : „აია ხვამლის თამაშის პირველ ნახევარში, ხვამლის 11 ნომრის მიერ განხორციელდა უხეში თამაში აიას 15 ნომერის,ოთარ მეტრეველის მიმართ.ჩემს მიერ მოხდა შემოწმება მოთამაშის და რადგანაც მას არანაირი სიმპტომი ინტრაკრანიალური ტრავმის არ აღენიშნებოდა, მიეცა უფლება თამაშის გაგრძელების. დღესდღეობით მოთამაშე იმყოფება 7 კაცა ნაკრების შეკრებაზე.“

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ხვამლი“-ს მოთამაშე, ლისალა ნასენგე დაეთანხმა მსაჯის გადაწყვეტილებას მისი ქმედების წითელი ბარათის ტოლფასად და სადისციპლინო კომისიის სხდომაზე კომისიის წევრების მიერ დარღვევის 9.18 წესის დარღვევად შეფასებას. ლისალა ნასენგემ წუხილი გამოთვა მომხდარი დარეღვევის გამო და განმარტა, რომ დარღვევა მოხდა წინასწარი განზრახვის გარეშე მისი გაუფრთხილებელი ქმედების გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 17/11/2023 გაიმართა დიდი 10-ს VIII ტურის მატჩი ქუთაისის „აია“-სა და თბ „ხვამლს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, გიორგი მშვენიერაძის წითელი ბარათის ოქმის მიხედვით (ციტირება)- „შეხვედრის მე15-ე წუთზე ხვამლის 11 ნომერმა გააკეთა კისერში ბოჭვა, რის შემდეგაც შებოჭილი მოთამაშე კისრითვე გადმოატრიალა და მიწაზე ასევე კისრით დაეცა. მაღალი საფრთხის შემცველი ბოჭვა იყო რაზეც მივეცი წითელი ბარათი“
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - „ხვამლი“-ს მოთამაშე, ლისალა ნასენგე (#11) ღია თამაშში ბოჭავს მოწინააღმდეგეს („აია“-ს #15). ლ.ნასენგე შებოჭილ მოწინააღმდეგეს წევს ჰაერში, ატრიალებს და ანარცხებს მას მიწაზე ისე, რომ შებოჭილი მოთამაშე მხრის ზედა ნაწილით და კისრით ენარცხება მიწაზე.
4. ქუთაისის „აია“-ს ექიმის, გიორგი აბესაძის ელ.ფოსტის მიხედვით - დაშავებულ მოთამაშეს შემოწმების მერე არ აღენიშნებოდა არანაირი ტრავმის სიმპტომი და ნება დართო მას გაეგრძელებინა თამაში.

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების განხილვის შემდეგ დადგენილად ცნო თბ „ხვამლი“-ს მოთამაშის, ლისალა ნასენგეს მიერ 9.18 წესის დარღვევა. მიიჩნია დარღვევა(შუბური ბოჭვა) ტრავმის მაღალი რისკის მქონედ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დაშავებულ მოთამაშეს ტრავმა არ მიუღია და გააგრძელა თამაში ექიმის შემოწმების შემდეგ, სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ს მიხედვით 9.18 წესის დარღვევისთვის გათვალისწინებული ზღვრებიდან დარღვევა შეაფასა დაბალი ზღვარით.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცირების პროცედურა	
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციებით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**	
☐ შეგნებული/წინასწარ განზრახული	☒ წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი	
ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა	
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:	
შებოჭილი მოთმაშე ამოტრიალდა აწევის შედეგად და დაენარცხა მიწას მხრის ზედა ნაწილით/ კისრით.	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):	
დამრღვევმა შემოხვეული ხელებით ჰაერში აწია შევბოჭილი მოწინააღმდეგე. ბოჭვის დროს მბოჭავის ხელი ყელის/კისრის არეში ქონდა შემოხვეული	
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:	

სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
დაშავებულმა მოთამაშემ სამედიცინო შემოწმების შემდეგ გააგრძელა თამაში
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
შებოჭილი მოთამაშე შეზღუდული იყო გაეკონტროლებინა ვარდნა
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით
ზედა ზღვარი * კვირა. შუა ზღვარი კვირა **ქვედა ზღვარი 6(ექვსი) კვირა**

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო;	დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;
დამრღვევმა აღიარა დარღვევა სადისციპლინო კომისიის სხდომაზე და წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;	ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში;
	სამაგალითო
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;	ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება
მოუბოდიშა დაშავებულს მინდორზე	

დაკლებული კვირების რ-ბა: 3 (სამი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა : სადისციპლინო კომისიის სხდომაზე ლისალა ნასენგემ გულწრფელად მოინანია ბინძური თამაშის ფაქტი მისი მხრიდან და პირობა დადო მაქსიმალურად შეეცდებოდა მსგავი ქმედების არ გამეორებას მომავალში

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია;
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება;
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება;

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	3 (სამი) კვირა/თამაში	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	23/11/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	13/12/2023 (დიდი 10-ს საშეჯიბრო ცხრილის მიხედვით)	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	დისკვალიფიკაციის პერიოდში, დისკვალიფიცირებულ მოთამაშეს ეკრძალება ნებისმიერი დონის რაგბის თამაშის დროს, ყოველგვარი აქტივობა სათამაშო პერიმეტრში.	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	23/11/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**